როგორ შემიძლია
დავეხმარო ჩემს შვილს?



დარწმუნდით, რომ ბავშვთან საუბრისას, თქვენ:

- უყურებთ სახეში
- **დგ**ახართ კარგად განათებულ ადგილას, რათა ბავშვმა დაინახოს თქვენი ტუჩები და სახის გამომეტყველება
- ფონური ხმაური მაქსიმალურად შემცირებულია, ან გადაინაცვლეთ უფრო ჩუმ გარემოში
- საუბრობთ გარკვევით და ნელა
- არ ყვირით!

იზრუნეთ ბავშვის სმენის აპარატსა და კოხლეარულ იმპლანტზე, მათ შორის:

- რეგულარულად გამოცვალეთ ელემენტები
- მოწყობილობა, ღამით, საშრობ ყუთში მოათავსეთ

მიჰყევით ექიმის ან აუდიოლოგის ინსტრუქციებს

ინსტრუქციის შესაბამისად, იარეთ რეგულარულ თერაპიაზე და შემოწმებაზე.

არ დამალოთ, რომ ბავშვს სმენის დაქვეითება აქვს

- შეატყობინეთ ბავშვის მასწავლებლებს სმენის დაქვეითების შესახებ და სთხოვეთ მათ ბავშვი საკლასო ოთახის წინა ნაწილში დასვან. სთხოვეთ მასწავლებლებს, რომ საუბრისას ბავშვის პირისპირ მოექცნენ.
- შეატყობინეთ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ბავშვის საჭიროებების შესახებ და ასწავლეთ მათ ეფექტური კომუნიკაცია.
- ჩართეთ ბავშვი ყველა საოჯახო და სოციალურ აქტივობაში.

ასწავლეთ ბავშვს ყოყმანის გარეშე გამოთქვას საკუთარი საჭიროებები

მაგალითად, როცა სმენის აპარატი შეწყვეტს მუშაობას, ან სთხოვოს მოსაუბრეს ნათქვამის გამეორება, თუ კარგად ვერ გაიგონა;

- საჭიროების შემთხვევაში, ისწავლეთ ჟესტური ენა ბავშვთან უფრო ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის;
- გაუწიეთ ადვოკატირება ადგილობრივი მმართველობის სისტემებთან სმენისთვის საჭირო მომსახურებების მიღებისთვის, თუ კი თქვენი რეგიონი ამ მომსახურებების სიმწირეს განიცდის;
- დაუკავშირდით ყრუ ან სმენის დაქვეითების მქონე ადამიანებთან მომუშავე ორგანიზაციებს ან სმენის დაქვეითების მქონე ადამიანების მშობლებს და სთხოვეთ მათ დახმარება.

გახსოვდეთ

20 ადამიანიდან ერთს სმენის დაქვეითება აქვს. ამაში სასირცხვილო არაფერია. არ დამალო, რომ შენს შვილს სმენის დაქვეითება აქვს!

World Hearing Forum whf@who.int

For more details refer to: Https://www.who.int/health-topics/hearing-loss

არ მისცე სმენის დაქვეითებას უფლება, შეზღუდოს შენი შვილი!



სმენა ცხოვრებისთვის

WORLD HEARING FORUM

შესაძლოა ჩემს შვილს სმენის დაქვეითება ჰქონდეს?

თქვენს შვილს შესაძლოა სმენის დაქვეითება ჰქონდეს თუ:

- არ რეაგირებს ხმებზე.
- ენა/მეტყველება ასაკთან შეუსაბამოა ან არასათანადოდაა განვითარებული.
- ვერ იგებს, რასაც ეუბნებით და ხშირად სთხოვს სხვებს, ნათქვამის გამეორებას.
- არასწორად რეაგირებს კითხვებსა და ინსტრუქციებზე.
- ხმამაღლა უსმენს ტელევიზორს და უჭირს ტელეფონზე საუბრის გაგება.
- სკოლაში აქვს დაბალი მოსწრება ან პრობლემური ქცევა.
- ხშირად აქვს გოგირდის საცობი ან გამონადენი ყურიდან.
- აქვს ყურის ტკივილისა და დაცობის განმეორებადი ეპიზოდები.
- ბოლო დროს გადაიტანა ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიცაა მაგ., მენინგიტი.

გახსოვდეთ
ჩვილების შემთხვევაში, ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს სმენის დაქვეითება, თუკი ის არ რეაგირებს ბგერებზე, განსაკუთრებით, დედის ხმაზე და არ კრთება ხმამაღალ ბგერებზე



ვფიქრობ, ჩემს შვილს სმენის დაქვეითება აქვს რა უნდა გავაკეთო?

შეუმოწმეთ ბავშვს ყურები და სმენა უახლოეს კლინიკაში. როგორც წესი, ყურებისა და სმენის შემოწმება ოტორინოლარინგოლოგებსა და აუდიოლოგებს შეუძლიათ. თუ არ ხართ დარწმუნებული, სად წახვიდეთ, დახმარებისთვის ოჯახის ექიმს მიმართეთ.

როგორ მოწმდება სმენა ბავშვებში და არის თუ არა პროცედურა უსაფრთხო?

სმენის შემოწმება ყველა ასაკში ხდება. ახალშობილთა სმენის შემოწმებაც დაბადებიდან რამდენიმე დღეშია შესაძლებელი. 5 წლამდე ასაკის ბავშვებში შემოწმება რამდენიმე ტესტით არის შესაძლებელი. ესენია:

- ოტოაკუსტიკური ემისია (OAE)
- ტვინის ღეროს სმენითი პასუხის ტესტირება (ABR)
- აუდიომეტრია ქცევაზე დაკვირვებით (BOA)

5 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებთან სმენის ტესტირება შესაძლებელია სუფთა ტონის ტესტით.

გახსოვდეთ
სმენის ტესტირება უსაფრთხო, უმტკივნეულო და მარტივია!

როდის უნდა შევუმოწმო ჩემს შვილს სმენა?

რაც შეიძლება მალე!

ჩვილებს, რომელთა სმენის დაქვეითების დიაგნოსტირება 3 თვის ასაკში მოხდა და რეაბილიტაცია 6 თვის ასაკში დაიწყო, შეუძლიათ ენისა და მეტყველების განვითარება, ნორმალური სმენის მქონე ბავშვების მსგავსად.
მაშინაც კი, როდესაც თქვენი შვილი უკვე დიდია, ნებისმიერი გადავადება უარყოფითად აისახება მის მეტყველებასა და სწავლაზე.

გახსოვდეთ
დროული დიაგნოსტირება და ინტერვენცია სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების წარმატების საწინდარია

რა მოხდება, თუ ჩემს შვილს სმენის დაქვეითება აღმოაჩნდა? როგორ შეძლებს ის კომუნიკაციას, სწავლას ან მეგობრების შეძენას?

არსებობს გადაჭრის გზები იმისთვის, რომ სმენის დაქვეითებამ ვერ შეძლოს თქვენი შვილის შეზღუდვა:

- მედიკამენტები და ქირურგიული ჩარევა, როდესაც სმენის დაქვეითება გამოწვეულია ყურის ინფექციებით ან ექსუდაციური ოტიტით.
- სმენის აპარატები და კოხლეარული იმპლანტები შესაძლოა დაეხმაროს თქვენს შვილს სმენის, ენისა და მეტყველების განვითარებასა და წარმატებულ სწავლაში.
- რეაბილიტაცია და თერაპია ძალიან მნიშვნელოვანია სმენის დამხმარე ტექნოლოგიების მორგების შემდეგაც.
- ჟესტური ენის სწავლა, იმისთვის, რომ ბავშვმა დაამყაროს კომუნიკაცია.

- სმენის დაქვეითების გამოვლენის შემდეგ, მოქმედების საუკეთესო გზა ოჯახმა უნდა შეარჩიოს ოტორინოლარინგოლოგთან/აუდიოლოგთან კონსულტაციის გზით. ჩარევა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. ჩარევის გზების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ WHO Basic Ear და Hearing Care რესურსებში.

გახსოვდეთ
სათანადო და დროული ინტერვენციით არ არსებობს შეზღუდვა, რომელიც ბავშვს რაიმეს მიღწევაში ხელს შეუშლის